საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/792
09/02/2023

792-21-2-202302091421

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა #19; 0186
ელ. ფოსტა: mariam.mchedlishvili@energo-pro.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7581 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (წნისი) ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკითხები, რომელიც ტექნიკურ ნაწილთან ერთად უნდა მოიცავდეს ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე (განსაკუთრებით ორნითოფაუნაზე), ფრინველების სიკვდილიანობაზე (მაგალითად როგორიცაა ელექტროსადენებთან შეჯახებით სიკვდილიანობა) დაკვირვების საკითხებს, ვადების, ადგილების, ხანგრძლივობის და სხვა პარამეტრების მითითებით. ასევე მოცემული უნდა იყოს დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხები;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარებულია მოცულობითი დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები (ბურღვითი სამუშაოები, ლაბორატორიული კვლევები და სხვა), თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციას არ ახლავს აღნიშნული კვლევის შედეგები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი N2; N5 და N11 საყრდენების განთავსების GPS კოორდინატები არ ემთხვევა სკრინინგის განცხადებას თანდართულ Shp ფაილებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული

შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო